№ 243

ხუთშაბათი, 9 ნოემბერი 1895

ბაზეთი ღირს:

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის" ტელეფონი № 227.

1877—1895

# ივერია

№ 243

ხუთშაბათი, 9 ნოემბერი 1895

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციის და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

**ამ ნომერში 16 გვერდია**

„ტფილისის საკრებულო" დარბაზში
შაბათს, 11 ნოემბერს, გაიმართება

## კონცერტი

დების რედერებისა

როზალია—ფორტეპიანო, სოფიო—სკრიპკა, ლოლა—ალტი და ემილია—ვიოლონჩელი. დანარჩენი ბილეთები და პროგრამა ისყიდება **მირიმანიანის** მუზიკალურს დეპოში, სასახლეს ქუჩა.
(3—6—2)

ქართული თეატრი.
ოთხშაბათს, 8 ნოემბერს, 1895 წ.
„ქართულ დრამატიულ საზოგადოების" დასისაგან
წარმოდგენილი იქნება
ქ-ნ ავალიშვილისა, მესხისა და ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით
პირველად ახალი პიესა
I
**ურიელ აკოსტა**
ტრაგედია 5 მოქმედ. გუცკოვისა, თარგმანი ი. ბაქრაძის მიერ.
მონაწილეობას ღებულობენ: ავალიშვილისა, ჩერქეზიშვილისა, ჩხეიძისა და სხვ. ბ-ნნი ყიფიანი, ალექსი-მესხიშვილი, გუნია, სვიმონიძე, გედევანოვი, კანდელაკი ადამიძე და სხვ.
ადგილების ფასი ჩვეულებრივია.
მოწაფეებისათვის ადგილები ლოჟების უკან 65 კაპ.
დასაწყისი სწორედ 8 საათზედ.
რეჟისორი ვლ. ალექსი-მესხიშვილი.

დაიბეჭდა და ისყიდება წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში
**კრებული**
არითმეტიკულის ამოცანებისა და რი-

ცხვითის მაგალითებისა.
მოსამზადებელი კურსი
შედგენილი
რ. ჯაჯანაშვილის მიერ
გამოცემა მესამე,
შეუცვლელად გადმობეჭდილი მეორე გამოცემიდგან, რომელიც მოწონებულია სახელ-მძღვანელოდ კავკასიის სამოსწავლო ოლქის სამზრუნველო რჩევისაგან.
ფასი ხუთი შაური.
10—4

წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობისაგან.

**ქართველთა ამხანაგობის** გამგეობამ განიზრახა-რა ჰბეჭდოს პატარა ისტორიული წიგნაკები, უმთავრესად სთხოვს საქართველოს ისტორიის მკოდნე პირთ დაეხმარონ ამხანაგობას და მოაწოდონ დასასტამბად მარტივის ენით დაწერილი ეპიზოდები საქართველოს ისტორიიდგან.

სასურველია ყოველი ეპიზოდი არ აღემატებოდეს ორ თაბახს, ე. ი. 64 გვერდს (ფორმატი $8^1/_2 \times 6$ კვადრ.).

მოწონებულსა და დაბეჭდილს ყოველს თაბახში (32 გვ.) ავტორთ მიეცემა 30 მან.

ამხანაგობა ეცდება ყოველ წიგნაკს დაურთოს გმირთა სურათები, თუ-კი მოიპოვება სადმე გადასაღებად.

ამხანაგობის გამგე ალ. ჯაბადარი.
(5—4)

**კაბინეტი კბილის ექიმთა**
**გ. ი. ჭიჭინაძისა** და **ქ-ნის ქს. დ. ილარიონოვისა.**
მიხეილ. ქუჩა, სახლი კრაუზესი, 79.
ავადმყოფებს მიიღებენ დილის 9— საღამოს 4—7 საათამდე.

## ტფილისი, 4 ნოემბერი.

—

ჩვენს მეთაურში ამ რამდენისამე დღის წინად*) ის აზრი აღვნიშნეთ, რომ ეკონომიური მოედანი ჩვენში ჩვენ, მიწის მშრომელთ ხელიდამ გამოგვეცალა და სხვამ დაისაკუთრა და დაინარჩუნა. ეს იქნება გადაჭარბებული აზრი იყოს, მაგრამ თუ სახეში მივიღებთ იმას, რომ ჩვენის ნაამაგარისაგან გამორჩენა და მოგება სხვისა ჰრჩება და ჩვენ ჩვენს სახლში, ჩვენს მიწა-წყალზე მარტო დღიური მუშები ვართ სხვისა, მაშინ ჩვენ მიერ გამოთქმულს აზრს თავისი ადგილი აქვს და საბუთი.

ვიმეორებთ: გარეშემო ყველაფერი შეგვეცვალა, ამ ცვლილებამ მრავალ გვარი ახალი საჭიროება აგვიჩინა, ცხოვრება გაგვიძვირდა, გაგვიძნელდა, ვეღარ ავდივართ აუცილებელს ჭირ-ბოროტს დღისას. ამ უნუგეშო მდგომარეობის სისწვრივ ვხედავთ, რომ მტერი აღარ გვაცდენს მუშაობისაგან, მშვიდობიანობა ჩამოვარდა, სახლობას აღარავინ გვიწიოკებს, ნაშრომ-ნაღვაწს არავინ გვიოხრებს, რკინის გზებისა და ზღვაზე სიარულის წყალობით ჩვენს ნაამაგარს კარი ფართოდ გაეღო, ცოტად თუ ბევრად ბაზარი გაუდიდდა, მუშტარი მოემატა, აღარა ვართ გარშემომტრებისაგან და უგზოობისაგან იძულებულნი შინ კარ-ჩაკეტილები ვისხდეთ, ჩვენი ვერა მივაწოდოთ რა სხვას ან სხვისა არა მოვიწოდოთ-რა. სულ ყოველს ამასა ვხედავთ და მაინც ვჩივით და ვტირით ჩვენს სიღარიბეს, ჩვენს უილაჯობას. ეს ჩივილი და ტირილი მით უფრო საოცარია, რომ ჩვენი ქვეყანა ჰავით, მდებიარობით, მიწით მდიდარია და შემძლებელია გაგვამდიდროს, ქონებით გაგვაძლიეროს, გაგვაღონიეროს. ამ მდიდარს და მომცემს ქვეყანაში რადა ვართ ღარიბნი და ღატაკნი? მათა, რომ ჯერ მაინც კიდევ ვტრიალებთ იმ აზრთა წრეში, იმ სურვილთა და წყურვილთა მზიან-ჩრდილში, რომელიც იყო გამოსადეგი ამ მეცხრამეტე საუკუნის წინად.

დღესაც ვიძახით თავ-მოწონებით: „სხვა საქართველო სად არის, რომელი კუთხე ქვეყნისა? ერი პურადი, გულადი, იგივ მხნე იგივ მღერალიო". მართალია, ბევრი არ არის სხვაგან ჩვენის ქვეყნისთანა ქვეყანა. ისიც მართალია, რომ პურადობა და გულადობა ფრიად მოსაწონნი და ტკბილად მისაჩნევი ღირსებაა ადამიანისა, მაგრამ ჭირი ის არის, რომ დღევანდელი უკუღმართი დღე მაგაებს აღარა ჰკმარობს, მაგაებიდამ ბევრს ვერას გამორჩება.

დღევანდელი ფარ-ხმალი ცხოვრებისა ქონებაა. კარგია თუ ცუდი ეს ასეთი ყოფა, ჩვენ ამაზედ თვალი უნდა ავახილოთ, ამაზედ ვიფიქროთ. საქმე ის არის, რომ დღევანდელმა დღემ კაცობრიობა იქამდე მიიყვანა, რომ თუ ერს ქონება შეძენილი არა აქვს და მის გაძლიერების გზაზე არა სდგას, იგი ღონე-მიხდილი ლომია, უხორთუმო სპილოა იმ მწვავს და დაუნდობელ ომში, რომელსაც არსებობისათვის ბრძოლას ეძახიან. ამ ბრძოლაში „ყურთმაჯთ ბრიალი, ხმალთა ტრიალი, ცხენიდამ ხტომა და კვლავ შეხტომა" ვერაფერი თამასუქია გამარჯვებისა, ვერაფერი ღონეა.

ერთად-ერთი ღონე ჩვენის ქონების გაძლიერებისა ჯერ ხანად მარტო მიწათ-მოქმედებაა ჩვენში. საფაბრიკო და საქარხნო წარმოების მოედანი, თუმცა დღეს ჩვენში საგრძნობელად ხელთ არავის ჩაუგდია, მაგრამ ამაებისათვის ჩვენ არამც თუ ქონება არა გვაქვს, არამც თუ საჭირო ცოდნა და გამოცდილება, აზრადაც არავის მოსვლია ამაებისაკენ მიიხედოს და ეს დღეს მოცლილი და სხვისაგან დაუჭერელი ადგილი მაინც დაიჭიროს. ამას ვინა სჩივის? ის ერთად-ერთი მოქმედებაც, რომელიც დღეს ჩვენ ასე თუ ისე პურს გვაჭმევს, ისეთს მდგომარეობაშია, რომ, თუ გზა და საფუძველი არ გამოეცვალა, ისიც ხელიდამ წაგვივა და ჩაუვარდება სხვას, ჩვენზე უფრო მხნეს, ჩვენზე უფრო მცდელს, მცოდნეს და გამჭრიახს კაცს. ეკონომიური ბუნება ქონებისა ის არის,—უძრავი ქონებაა თუ მოძრავი,—რომ უხერხო და უმცდელ

*) იხ. „ივერია" № 240.

# ფელეტონი

**იჟვიანი.**

(ანტუან ალბალისა).

ჩამავალი მზე თავისს ბრწყინვალე სხივებს ფიჭვნარსა სცემდა, რომელიც ბორცვთა განაპირას იდგა. ბორცვები არშიასავით თავს ევლებოდა პატარა ვაკეს—ჰურგეისელს. სექტემბრის ქარისაგან მუხნარს გაჰქონდა შრიალი და ბუჩქნარიც მას რხევასტვენით ბანს აძლევდა. ამ დროს მენახშირეები და სხვა მუშები, რომლებიც ხეებს ქერქს აძრობდნენ, მორჩნენ თუ არა მუშაობას, შინისაკენ გაემგზავრენ სავახშმოთ და დაბინავდნენ თავ თავიანთ კარვებში, რომლებიც მთის ფერდოზე იყო გადაჭიმული. ეს კარვები სწორედ ბოშთა ბინას ჰგავდა.

როზალიმ დაინახა თუ არა შინისაკენ მიმავალი თავისი ქმარი, უკან ხელებ-დაწყობილი, მიხვდა, რომ მათ შორის უსათუოდ ჩხუბი ასტყდებოდა.

პიერი იყო ლამაზი, ცოტა ხმელხმელი და ამასთანავე ღონიერი ყმაწვილი კაცი. იყო თავდაუჭერელი, რის გამოც სუყველას ეშინოდა მისი, იყო აგრეთვე ჟინიანი და იშვიათად მომხიარულე, მაგრამ მაინც კეთილ კაცად და ერთგულ მეგობრად ითვლებოდა. იჭვიანობამ მისი ოჯახი არივ-დარია. მას წარმოდგენილი ჰქონდა, რომ ვითომც ცოლი ღალატობდა. ეს იყო მისი ერთად-ერთი დარწმუნება „რომელიც" ადვილად შეიძლებოდა ადრე თუ გვიან ნამდვილ სიგიჟედ გარდაექცეოდა.

ექვსი თვის ჯვარ-დაწერილი როზალი თავის ქმრის წინაშე თრთოდა, როგორც პატარა გოგო, და ამასთანავე აღმერთებდა მას, იმ პირველ უბრყვილო სიყვარულით, რომელიც თავის თავად კმაყოფილდება და სხვა კაცისგან სამაგიეროს არას თხოულობს.

დაინახა თუ არა 'შორიდგან ქმრის წითელი სარტყელი, როზალი მისკენ გაექანა მისაგებებლად. მიახლოვების უმალ თავი მაღლა აიღო და მშვენიერი პირის სახე დაანახვა მას. როზალი ილიმებოდა თვისის მშვენიერის ტუჩებით; მან ქმარს ხელი ჩავლო სახელოში, გამოჰყვა ბინისაკენ და ბავშვივით ნაზათ შესცქეროდა, რომელსაც სურს სხვისი ყურადღება მიიქციოს და თანაც ალერსს ელოდება.

დაღამდა. მენახშირეებმა დიდი ცეცხლი გააჩაღეს. ორმოცდა-დაათამდე ქალი და კაცი იყო იქ. ზოგიერთები ჯგუფ-ჯგუფად ცეცხლის უსხდნენ გარშემო, ზოგნიც ფეხზე იდგნენ და ბოლთას სცემდნენ. შემდეგ სმა-ჭამას და სიმღერას მიჰყვეს ხელი. დაუკრეს ჩონგური და ამ მთრთოლვარე საკრავის ხმას თან მოჰყვა ცეკვა-თამაში.

როზალი ქმრის ახლო იჯდა და არჩევით სასმელ-საჭმელს აწვდიდა მას. კოცნასაც უპირებდა, რომ მით გაექარვებინა ის რისხვა წყრომა, რომელსაც პიერის შუბლი დაენაოჭებინა.

იმ საღამოს დაღვრემილი იყო პიერი. მაშინ მას არც ერთი სიტყვა არ წარმოუთქვამს, თუმცა-კი ჭამის დროს ხშირად აცმაცუნებდა ტუჩებს.

იგი მარტო იმას სჯერდებოდა, რომ თვალ განუშორებლივ როზალის შეჰყურებდა. საწყალი ქალი ნაღვლიანათ იჭმუხვნიდა წარბებს, რადგანაც ჰგრძნობდა, რომ ცემატყეპა მოელოდა ქმრისაგან.

ცეცხლი ჩაქრა, ჩონგურის ხმაც შესწყდა, სუყველანი თავთავინათ კარვისკენ მიეშურემოდნენ. ღამით ვაკე, თითქოს დაყრუვდა, მთვარის შუქით განათებულ ტყემაც ხმაურობა შესწყვიტა. ისმოდა მხოლოდ სუსტი ტკაცანი ნახშირ-საწვავ ორმოებიდგან, რომლებიც ამოთხრილი იყო გზის გასწრივ ჭის ახლოს და რომლებშიაც მთელი კვირის განმავლობაში ცეცხლი ჰღვიოდა. ცოლ-ქმართ ჩვეულებრივი ლაპარაკი დაიწყეს. პირველათ სიტყვა წარმოსთქვა როზალიმ, რომელიც ტან-გაუხთელად ლოგინზე გაგორდა.

— ეს ერთი დღეც გადავაგორეთ კიდევ! სთქვა მან.

— დიახ,—დაცინვით წაილუღლუღა პიერმა, რომელმაც ჩიბუხიდგან ნაწვავი თამბაქო თავის ჩუსტს დაარტყა,—და ტყუილად არ გასულა დღევანდელი დღე, ამის თავდები მე ვარ, და შემდეგ წაიბუტბუტა:—მაგრამ ეს ოდესმე გათავდება! დიაღ, ოდესმე გათავდება!

როზალი ცალი ხელის შემწეობით ზეზე წამოდგა. იგი მთლად კანკალებდა, სახე ამღვრეული ჰქონდა, მაგრამ თანაც ღიმილი ეტყობოდა; ქმართან მივიდა, ნიკაპი მხარზედ ჩამოადო და უთხრა:

— რა დაგემართა, პიერ? რა დაგემართა?

პიერმა ძალზედ ნიდაყვი ჰკრა და მოიშორა.

— მე ვიცი, რომ შენა და ჩვენი პატრონის შვილი მღალატობთ და არ მინდა, რომ ჩემი ამხანაგები დამცინოდნენ!—აი რა დამემართა!

როზალიმ გულზედ ხელები დაიკრიფა და სევდიანათ წარმოსთქვა:

— პიერ, აქეთ შემომხედე! ხომ იცი შენ, რომ ეს მართალი არ არის; მე შენ არ გღალატობ, მარტო შენ მიყვარხარ.

პიერი ლოგინზედ იჯდა წელში მოხრილი და ხელები მუხლებზედ ჰქონდა დაბჯენილი; პირმქუშად შეხედა შავ-თვალ-წარბა ლამაზ ქალს, რომელსაც პირის სახე ვარდს მიუგავდა და რომელსაც ტანთ-ეცვა წითელი იუბკა და თეთრი კოფთი. მერე ხელები მხარზედ დაადო, წყნარად შეხედა და დინჯად უთხრა:

— ლალი, შენ კარგი გოგო ხარ, მე ეს კარგად ვიცი. მაგრამ ეს ჩემთვის სულერთია. მინდა, რომ სუყველაფერი თვითონ მიამბო, მთლად უნდა გამომიტყდე და, სიტყვას გაძლევ, შემდეგ აღარ გაწვალებ.

ეს იყო მისი ყოველდღიური ჭიკჭიკი, მისი სიგიჟე, მისი გულის მკვლელი სენი.

კაცისაგან ხერხიან და მცდელ კაცის ხელში გადადის. ამ კანონს ეკონომიურ ბუნებისას წინ ვერავინ დაუდგება, როგორც საერთოდ ბუნებურ კანონსა.

თავი და თავი მიზეზი იმ უექველ ამბისა, რომ მიწათ-მოქმედება ჩვენში მატებას და გაძლიერებას მოკლებულია; რომ დღეს არ იძლევა იგი იმოდენას, რომ არამც თუ სახვალიოდ რაიმე გადავინარჩუნოთ, სადღეისოდაც არა გვყოფნის; რომ ჩვენს საკუთარ მიწაზედ ჩვენის უმხნეობით და დაუდევრობით სხვის დღიურ მუშად გავიხადეთ თავი და ვინ არ იცის, რომ დღიურ მუშის კერძი მსოფლიო სუფრაზედ იმოდენია, რაც მხოლოდ საკმარისია კაცს შიმშილით სული არ ამოხდეს, — ყოველ ამისი თავი და თავი მიზეზი იგია, რომ დღეს ჩვენებურს მიწათ მოქმედებას იგივე საგანი აქვს, იმავე საქმეს ეტანება და ზედ ალევს თავისს ძალსა და ღონეს, რაც მეშვიდმეტე და მეთვრამეტე საუკუნეში და კიდევ წინადაც უნდა გასძღოლოდა ასე თუ ისე მაშინდელთა მკვიდრთა საჭიროებას და ამ სახით, მაშინ, როცა ჩვენს გარეშემო ყველაფერი შეიცვალა, ჩვენი ერთად-ერთი ეკონომიური სახსარი არც ზნეს იცვლის, არც ფერსა.

კიდევ ვიტყვით: მტერთაგან და უგზოობისაგან შინ ჩაკეტილი ქართველობა იძულებულ იყო ის მოეყვანა, ის ემუშავნა თავისს მიწაზე, რასაც დღეს უფრო იეფად სხვაგან ვიყიდით, სხვიდამ მოვიტანთ. იგი ძვირფასი ჭინახული, რომლის მოყვანასაც ასე ხელს უწყობს ჩვენებური დალოცვილი ჰავა და მიწა, მაშინ ფიქრადაც მოსასვლელი არ იყო. ეხლა სულ სხვაა. დღეს რა გვიშლის, მაგალითებრ, ჩვენს მიწათ-მოქმედებას ის ნაყოფი გამოვალებინოთ, რაც რუსეთში არ მოდის ბუნებურ გარემოებათა გამო და იქიდამ ის ვეზიდოთ, რაც იქ ბევრი მიდის და უფრო იეფიც არის. ის აუარებელი შრომა და ხარჯი რაც, მაგალითად, მარტო პურის მოყვანაზე მოდის ჩვენში და ასე ძვირად გვიჯდება, სხვა უფრო ძვირფასს საგანს რომ მოვახმაროთ რუსეთში გასატანად და იქიდამ პური ვეზიდოთ, მითამ წაგებაში ვიქნებით და არა დიდ მოგებაში? *) ამას წინად ერთს გაზეთში დაბეჭდილი იყო, რომ თრიმლს დიდი მუშტარი ჰყავს რუსეთშიო და კაი ფასადაც გავაო. აბა ჯერ თრიმლი რა არის, ჩვენებური ტყეები სავსეა მაგითი, და გამოდის, რომ მაგასაცკი შესძლებია ქონების ღონე მოგვცეს, თუ ხელს მოვკიდებთ. სხვას ნულარ ვიტყვით, რის მოცემაც შეუძლიან ჩვენს მდიდარს ქვეყანას, საცა ჰავა და მიწა ასე ხელს უმართავს კაცს, რომ რაც სულსა და გულს უნდა კაცმა გაიჩინოს, გამოილოს ბაზარში გასატანად.

თელავის თავად-აზნაურობას ეს საჭიროება უგრძვნია და საგნად შემდგარ ამხანაგობისა დაუდვია განკარგება და გაძლიერება მიწათ-მოქმედებისა. განკარგება და გაძლიერება სწორედ იმ მხარეს უნდა მიექცეს, რომ მიწათ-მოქმედებას ჩვენში სხვა გზა და მიმართულება აუჩინონ, გაუმრავალგვარონ კულტურა ჰავისა და მიწის შესაფერად, ყოველივე ახლად შემოსაღები საჭინახულო შეუწონონ საშინაო და საგარეო ბაზრის მოთხოვნილებას, ძვირფასი რამ ჭარნახული დაუდვან საგნად მიწის მომქმედს და იეფის ფასის ჭინახულზე ხელი აალებინონ, ან გაუადვილონ ხარჯი და მუშაობა. რასაკვირველია, ყოველს ამას სურვილისა და წყურვილის გარდა ცოდნა და მოხერხება უნდა და როგორც ეტყობა, არც ეს აუცილებელი მხარე საქმისა დაუგდია უყურადღებოდ თელავის თავად-აზნაურობას: სხვათა მისახწევ საგანთა შორის ცოდნისა და ხერხის გავრცელებაც დაუვალებია განზრახულის ამხანაგობისათვის.

მართალია, დიდი მოედანი დაუნიშნავს თელავის თავად-აზნაურობას მის მიერ განზრახულს ამხანაგობის მოქმედებისათვის, მაგრამ აქ სიდიდეს კაცი არ უნდა შეუშინდეს. რაც ცალკე კაცისათვის დიდია და მძიმე, ის ადვილი საზიდია ბევრისათვის. ეხლანდელს დროში კრებული ძალა სასწაულთ-მოქმედობს. მართალია, გულ-გაშლილი ქართველი ჩვეულს არის, რომ თუ მოსახვეტია რამე, კაბდოთი მოხვეტოს და თუ არ ასე, მცირეზე ხელს არ წაიწვდენს, მაგრამ პატარა ნიჩბითაც ბევრი რამ გაკეთდება, და ძალიან შესაძლოა ცოტ-ცოტაობისაგან დიდი საქმე გამოვიდეს. აქ საჭიროა მოთმინება და ამაზედ ცოტა უკაცრავად გახლავს გულ-ჩქარი ქართველი, რომელიც სჩივის და ჰყვირის ხოლმე, როცა განზრახული იმავ დღესვე სავსებით არ ეძლევა, ის-კი ავიწყდება, რომ ღმერთი ყოვლად შემძლებელია და იმანაც-კი ექვსი დღე მოანდომა ქვეყნის აშენებას.

ჩვენ, როცა დაწვრილებით შევიტყობთ თელავის თავად-აზნაურთ როგორ დაუწყვიათ ხსენებული საქმე, კიდევ ვიტყვით რასმე ამ საგანზედ სადამდინაც ჭკუა და გონება გაგვიწვდება. ეხლა-კი ფრიად სასიამოვნო და სანუგეშო ამბად უნდა ჩაითვალოს თელავის თავად-აზნაურთა იმ გზაზედ ფეხის მოკიდება, რომელიც დღევანდელი საჭირ-ბოროტო და სალალადებელია.

*) დღეს რომ ჩვენში პური ამბრებში ჰლპება და თუ არ ჩალის ფასად მუშტარი არა ჰყავს, განა იმით არ აიხსნება, რომ აქაური ბაზარი სავსეა რუსეთიდამ მოტანილ პურითა, რომელიც ბაზარს უფრო იეფად უჯდება, ვიდრე ჩვენი შინაური პური?

# ახალი ამბავი

*** გუშინ მთავარ-მართებელი ს. ა. შერემეტევი აბასთუმანს წავიდა მემკვიდრე ცესარევიჩთან გამოსამშვიდობებლად. აბასთუმნიდგან დაბრუნებისათანავე ს. ა. შერემეტევი წავა პეტერბურგს, სადაც მთელი ზამთარი დარჩება.

*** ოძისის სამეურნეო სასწავლებლის კომისიის სხდომა შაბათისათვის გადიდვა.

*** რამდენსამე ქართველ ახალგაზდას თხოვნა მიუცია დრამატიულ საზოგადოების გამგეობისათვის, რომ ნება დაერთოს მათ სახალხო წარმოდგენების მართვისა.

*** სოფრომ მგალობლიშვილის შესახებ გვატყობინებენ შემდეგს: ბ. მგალობლიშვილი ფოთიდგან უეცრად წასულა, ისე რომ არავისთვის არ შეუტყობინებია; ფოთში დაბრუნების დროს გზის გაფუჭების გამო ერთ-ერთ სადგურზედ დარჩენილა; დეპეშითაც ვერ უცნობებია ამბავი, რადგანაც ტელეგრაფი აღარ საქმობდა ფოთში და ამიტომ გავრცელდა ხმა — მგალობლიშვილი სადღაც დაიკარგაო.

*** საქართველოს სამხედრო გზის, ყაზბეგის სადგურიდან შემდეგი დეპეშა მოსვლია კავკასიის ოლქის გზათა უფროსს: „ყაზბეგისა და ლარსის სადგურების შუა 40 საჟენის მანძილზედ ქვის ზვავი ჩამოწვა; რუსეთის ფოსტა ლარსში დარჩა; ყაზბეგიდან გამოსულნი მგზავრნი უკანვე დაბრუნდენ, რადგანაც გზა ისეა გაკავებული, რომ ფეხითაც არ შეიძლება გასვლა.“

ამ გზამაც თუ გვიმტყუნა, ცუდი საქმე დაგვემართება.

*** ყვირილის სადგურიდგან რკინის გზის მმართველობას შემდეგი ამბავი მიუღია: მე-116 ვერსზე ნიაღვარს სრულიად გაუფუჭებია გზა და 200 საჟენის მანძილზედ ლიანდაგი სრულიად წაულეკია; ამ ადგილას ახლა მდინარე ყვირილის უმთავრესი კალაპოტია.

*** ბაქოდამ იუწყებიან, რომ კასპის ზღვა საშინლად ღელავსო. ს. ეჭვოა, რომ გემი „ალექსანდრე ის სამე“, რომელიც ტალღებს ებრძოდა ეს რამდენიმე დღეა, გადარჩეს.

*** ამ დღეებში ტფილისის ქიწისმზომელ სასწავლებლის პირველ კლასის მოწაფემ ალექსანდრე პეტრიაშვილმა თავი მოიკლა. ამბობენ, თავის მოკვლის მიზეზი ყოფილა რაღაც უსიამოვნება, რომელიც ყმაწვილს შეხვედრია სასწავლებელში. საქმე გამომძიებელს გარდაეცა.

*** უკანასკნელ დღეებში ტფილისში რამდენსამე ბავშვს დიფტერიტი გაუჩნდა. დიფტერიტის სარჩენი შრატი ისყიდება ქალაქის ცენტრალურ სამკურნალოში და ოტტენის აფთიაქში. ხსენებულ შრატის ხმარება უექიმოდ არ შეიძლება, ამიტომ, თუ ბავშვს დიფტერიტი (ხუნაგი) გაუჩნდა, იმ წამსვე ექიმს უნდა მიჰმართონ.

*** „ჩერნომ. ვესტ.“-ში დაბეჭდილია შემდეგი საშინელი ამბავი: გუშინ ბათუმში მოვიდა სამტრედიიდან მოკლე, მაგრამ დიდმნიშვნელოვანი დეპეშა: „მე ცოცხალი ვარ, ბევრი დაიღუპა.“ ეს დეპეშა გამოუგზავნია ბათუმში ერთ მგზავრს, რომელიც დასწრებია ყვირილის ხიდის ჩანგრევას.

შემდეგ ერთ დამსწრეს კიდევ უცნობებია: «მე ჩემის თვალით ვნახე ეს უბედურება. 120 მგზავრი მიდიოდა ფეხით ცოტათი დაზარალებულ ყვირილის ხიდზე; ამ დროს ხიდი ჩაინგრა და მგზავრნი წყალში ჩაცვივდნენ. მე როგორ მოვასწარი გასვლა და როგორ გადავრჩი, ღმერთმან უწყის! წარმოუდგენელი სურათია! ამბობენ, 16 კაცი დაიღუპაო. მდინარე ზღვასავით მოდიდებულია და ვერც კი მოჰკრავდი თვალს, სად ვინ

---

იმ საღამოს მისს სახეს ისეთი დარწმუნება ეტყობოდა, რომ სასოწარკვეთილმა როზალიმ ხელები მიიფარა თვალებზედ და ამოოხვრითა სთქვა: — ღმერთო ჩემო!.. ღმერთო ჩემო!..

პიერმა თავის ჩიბუხი ხელ-ახლავ გაიწყო, აანთო წუმწუმა და ტუჩების თრთოლით დაცინვის კილოთი სთქვა:

— დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ ერთმანეთი ინახულეთ, რომ დღეს იგი შენთან დიდხანს იყო!..

შემდეგ ჩიბუხი გადაგდო, ორთავ ხელები ლოგინს დააბჯინა და თვალების ბრიალით როზალის მიჰმართა:

— სუყველაფერი მიამბე, თორემ დაგახრჩობ!

როზალი ცოტათი მოშორდა, ზეზე წამოდგა, წელში მოიკუტა და მშვიდის, ნაღვლიანის ხმით უთხრა:

— ნუ ჯავრობ, პიერ! ბ-ნი ანრი მეც ისე მელაპარაკება, როგორც სხვებს. შენ-კი ცუდათ ფიქრობ, მაგრამ სტყუვდები. ასე რომ არ იყოს, სუყველაფერს გეტყოდი და ჩვენც აქაურობას მოვშორდებოდით. მე მაინცა-და-მაინც აქ მუშაობა არ მინდა. შენ იმიტომ გამოგყევ, რომ დაშორება მეძნელებოდა და კიდევ იმიტომ, რომ სახლში პური არა ვქონდა...

პიერმა ხელები დაუჭირა ცოლს და ძალზედ მუჯლუგუნი ჰკრა.

— სანაძლეოსა ვსდებ, რომ აქედგან წასვლას ის გირჩევს. მე ხომ იმას ვაწუხებ, არა? როზალიმ თვალებზედ ხელები მიიფარა და წყნარად ჩაილაპარაკა:

— ნუ მცემ...

პიერი საშინლად გაფითრდა. მოისმა ჩუმი ხმაურობა და ტირილქვითინში ჩურჩულით წარმოთქმული სიტყვები: „თავი გამანებე... რა დამიშავებია შენთვის? რატომ მცემ?“ ცოტა ხნის შემდეგ სიჩუმე ჩამოვარდა; ისმოდა მხოლოდ მძინარე კაცის ხვრინვა და ხანდისხან ტირილი... სტიროდა როზალი, რომელიც თავისს მძინარე ქმარს გვერდით უჯდა. როზალის, ქმრის გამოღვიძებისა ეშინოდა და თავისს ცემა-ტყეპის გახმიანებასაც ერიდებოდა, ამისათვის მან პირში ცხვირსახოცი ჩაიდო და ისე იმ ღამეს კარგა ხანი სტიროდა. პიერი პირ-აღმა იყო წამოწოლილი და ხმა-მაღლა ხვრინავდა, თითქოს ძილში ლანძღავდა თავის ცოლს. როზალი მას მიუახლოვდა, ზევით აიღო გადაგდებული ჩიბუხი, თავზედ ოდნავ ხელი დაუსვა ქმარს და შეაჩერდა. მას იგი არც ეჯავრობოდა და არც ეზიზღებოდა. ჰხედავდა, რომ მისი ქმარი უბედური იყო, მხოლოდ იმიტომ, რომ ეჭვიანობდა.

მეორე დღეს, გამოიღვიძა თუ არა პიერმა ლოგინზედ მჯდომარე როზალი დაინახა, რომელიც თმას ისწორებდა. ერთხელვე შეშინებული როზალი ქმრის გაჯავრებას ერიდებოდა. მან ხელები მაღლა ასწია, გაიღიმა და უძილობისაგან ჩაშავებული თვალები ოდნავ დანაბა. მას უნდოდა ქმრის მორბილება და ამისათვის წყნარათ წასჩურჩულა:

— მითხარი, ხომ არ ჯავრობ?

პიერმა წარბები ძირს დაუშვა, ცოლი გადაკოცნა და უწინდელ ჯავრის ნიშნად ერთი კიდეც უჩქმიტა მკლავზედ.

— წადი იმასთან, წადი. ის უსათუოდ ზევით გელოდება, უთხრა პიერმა თავის ცოლს.

ორთავენი გარეთ გამოვიდნენ კარვის წინ. პიერი მოთმინებიდგან გამოჰყავდა იმას რომ ამგვარ სცენებს წყნარი როზალი ყოველთვის აპატიებდა. ძლიერი ქარი, რომელიც განთიადისას ჰქროდა როზალის იუბკას და კოფთას ბურთივით ჰბერავდა თავსაფრის ყურებს კეფაზედ აფარებდა. როზალი პიერს სასიამოვნო ღიმილით შეჰყურებდა. საშინელი სანახავი იყო ეს ღიმილი შეშინებულ პირის სახეზედ, რომელიც სიცივისაგან წამოწითლებულიყო და რომელსაც ნაცემ-ნატყეპი კიდევ აჩნდა. როზალის უნდოდა რაიმე ნაირად ენუგეშებინა და დაემშვიდებინა ქმარი. იგი ფეხაკრეფით მივიდა მასთან და წასჩურჩულა:

პიერ, ამაებზედ ფიქრს თავი გაანებე. შენ უმიზეზოთ იტანჯები. გარწმუნებ, რომ სცდები. მე შენ ძალიან მიყვარხარ, მარტო შენა...

როდესაც პიერი სხვა მუშებთან მუხების საჭრელად წავიდა ტყეში, როზალიც გაეშურა გაკაფულ ტყისკენ, სადაც უნდა ხელი უნდა მიეყო თავისს მძიმე დღიურ მუშაობისთვის. მისს ლოყებზედ დარჩენილ ცემა-გვემის ნიშანმა დაცინვა გამოიწვია ამხანაგებში. არც ერთ მუშათაგანს როზალი არ ეცოდებოდა, რადგანაც იგი თავის მტარვალს აღმერთებდა.

მუშები, რომლებიც ხეებს ტოტებს აცლიდნენ, დედა-კაცები, რომლებიც ისხდნენ და ხეებს ქერქს აძრობდნენ და გოგოებიც-კი, რომლებიც წკნელსა ჰკონავდნენ, ერთის სიტყვით, სუყველანი დაცინვის ღიმილით შესცქეროდნენ როზალის; შესჩქეროდნენ და ერთი მეორეს თვალს უქნევდნენ. ორიოდე ხუმარამ კიდეც გაიცინა.

— ისეთი ადამიანებიც არიან, რომელთაც ღამ-ღამე ძილი არ უყვართ. სუყველას თავისებური სიამოვნება უყვარს. მგონი, კიდევ დაეჯახნენ ერთმანეთს, რომ უწინდელი თანხმობა დაიბრუნონ, დაცინვით ამბობდნენ ზოგიერთები.

როზალიმ გაჯავრებით შეხედა იმათ; ტუჩები აუკანკალდა და მზად იყო ეტირნა, მაგრამ იმ წამსვე პასუხი მისცა:

— ეს ტყუილია, თქვენ თვითონ არ იცით, რასაც ამბობთ. პიერი გულკეთილი კაცია, მაგრამ მას აბრაზებენ. როგორიც უნდა იყოს, იგი ჩემი ქმარია. თქვენი რა საქმეა? სხვის საქმეში ნუ ერევით.

როზალის ყველაზედ უფრო იმის ეშინოდა, ვაი თუ ლაპარაკი მომხდეს პატრონის შვილთან — ანრისთანო, რომელსაც იგი ცუდს ვერას შეკადრებდა, როგორც თავის პატრონს და მეორეც იმიტომ, რომ ანრის მასთანა რა ვითარი კავშირი არა ჰქონდა. პირ იქით, ზრდილობიან ანრის ძალიან ეცოდებოდა ქალი, რადგანაც ამ უკანასკნელს ასეთი ეჭვიანი ქმარი ჰყავდა.

რაღაც ბედზე იმ დღეს ანრი არ მისულა მუშა ქალების დასათვალიერებლათ, რომელთ ჩაქუჩებს, ქერქის გაძრობის დროს, ისეთი რახარუხი გაუდიოდათ, თითქოს ხომალდს აშენებენო.

როზალი თავის მეგობარ ქალებში იჯდა, ჩაქუჩით მუშაობდა და ქმრის შესახებ ამბობდა მე იგი მტინჯავს, რადგანაც ეჭვიანია, მაგრამ ეს მხო-

ებრძვის ტალღებს. ისმოდა მხოლოდ საზარელი ხმები: გვიშველეთო! ყოველი მხრიდან ქვითინი და ტირილი ვინ მამას ეძებს, ვინ შვილებს! ყვირილის ორივე გრძელი ხიდი წყალმა წაიღო, წყალ-წითელას ხიდი დანგრეულია.“

*** სოფ. თერჯოლიდგან (ზემო იმერეთი) სწერენ „ნოვ. ობოზ.“-ს, რომ, თუმცა ყველგან კანონის ძალითაც და ბეჭდვითი სიტყვითაც სასტიკად აღკრძალულია გლეხ-კაცთა ცემა, მაგრამ ჩვენს სოფელში ისე ჩვეულებად არის ამგვარი საქციელი დარჩენილი, რომ, სამწუხაროდ, ვერას გზით ვერ მოუშლიათ. იშვიათია, რომ შეურაცხყოფილის საჩივარი უფროს მთავრობამდე მივიდეს. ამიტომაც საჭიროა ყოველ ასეთის საჩივრის საგანი დაწვრილებით გამოირკვეს ხოლმე.

ამ მოკლე ხანში გუბერნატორს მისცეს თხოვნა, რომელშიაც მოხსენებული იყო, რომ ვიღაც რწმუნებული ბესარიონ ჯონელიძის მემკვიდრეებისა კ. მ. ჩვენს სოფელში მიუხდა თვით ჯანელიძისავე ნაყმევს ამირანაშვილს და უწყალოდ სცემა იგი; მაგრამ ეს კიდევ არ აკმარა კ. მ. და ადგილობრივ მამასახლისის თანაშემწეს მიანდო, რომ იმისი ცოლიც დაესაჯა.

საცოდავი დედაკაცი, რომელსაც ძუძუ მწოვარა ბავშვი ჰყავდა, ერთის დღითა და ღამით დააპატიმრა. ძუძუთა ბავშვი უდედოთ დარჩენილი და მეორე ქალიშვილიც ამ გლეხისა საშინლად შეშინდნენ თურმე და ამის გამო ავადაც გახდნენ, ასე რომ აქამომდე ვერ მოსულან გონს. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ასეთს მოქმედებას სასტიკის ყურადღებით გამოიკვლევენო.

გაზეთი სრულიად საფუძვლიანად ჰფიქრობს, რომ ასეთი საქციელი უყურადღებოდ არ დარჩება.

*** ხოვლე (ქართლი): რთვლები გათავდა ძალიან უნუგეშოთ: ჯერ იყო და ხშირმა წვიმებმა გაგვიჭირეს საქმე; მერე 25 ოქტომბერს გაავდოთ თოვლი და სულ ერთიანათ გაგვიოხრა ის მცირე ისვრიმიც, რაც ზედ ება. დავრჩით ასე ხელცარიელზედ. ვაზის ავადმყოფობა ხომ მუდმივი სტუმარია ჩვენი. სიმინდი-კი კარგი მოვიდა, მაგრამ რა გამოვიდა: უამინდობისა გამო ჯერ გაურჩეველი გვიყრია გარეთ.

დღეს დილით თოვლმაც მოგვილხინა.

## ღია წერილი.

სახელგანთქმულო თავადო რაფიელ!

მოგილოცავთ საქართველოს გაღვიძებას და თვითმცნობელობას. მოგილოცავთ აგრეთვე, რომ ორმოცდა-ათი წლის განმავლობაში თქვენმა მუდმივმა მოღვაწეობამ მწერლობის ასპარეზზედ კეთილი ნაყოფი გამოიღო. გულითადი სურვილი აღგისრულდათ. გაიხარეთ, ქართველებმა იცნეს თავიანთი თავი და შეიგნეს საჭიროება განათლებისა და სარგებლობა ერთობისა. თქვენი მწერლობის საგანიც ხომ ეს იყო! თქვენის კალმის ბრწყინვალე ნაწარმოებს ინგილოთა შვილნიც დიდის სიამოვნებით ჰკითხულობენ. ამათაც დაჰბერა განათლების ნიავმა. თქვენისთანა დიდებულთა მწერალთა მეცადინეობით, ამათაც იცნეს თავიანთი ვინაობა და ჰნატრულობენ განათლებას. ერთი საეკკლესიო შკოლაში ნასწავლი პატარა ინგილო (ყორაღნელი) დაემუქრა თავის ქვრივ დედას: „არ იქნები ჩემი საყვარელი მშობელი დედა, თუ ჩემი და არ მიეცი სკოლაში წერა-კითხვის შესასწავლად სამშობლო ენაზედაო“. რამ გაალვიძა მისი გონება, უმეცრების სიბნელით შემოსილი, თუ არა თქვენისთანა მადლიანმა მწერალმა. იქნება გეგონოთ, რომ ინგილოთა მოსწავლე ყმაწვილები თქვენ ვერ გიცნობდნენ. ღმერთმა ნუ ქმნას. არა, სახელსა თქვენსა აქაც აქებენ, ადიდებენ და ნეტარად იხსენებენ. ამათაც იციან დაფასება სასარგებლო კაცისა. ესენიც კითხულობენ თქვენს ლექსს: „სამშობლო ხევსურისა“ ამათაც მოიგონეს თქვენი დღესასწაული და გილოცავენ. ხოლო პატარა ყორაღნელი ინგილო ჰგზავნის თავის დას საეკკლესიო სკოლაში თქვენის სახელის მოსაგონებლად მიიღეთ ეს წვლილი მისგან. მცირედია, მაგრამ ყველა ჯილდოზე უძვირფასესია, ვითარცა ის ერთი გროში, რომელიც მდიდრებთან ერთად ჩასდო იერუსალიმის ტაძრის განძანაკში წმინდის გულით ერთმა ღარიბმა ქვრივმა დედა-კაცმა და ქრისტე-ღმერთმაც მისი საწირავი უფრო უძვირფასესად აღიარა, ვიდრე მდიდართა უხვიერი ძღვენი; ამისათვის მეც მოგილოცავთ გამარჯვებას უმეცრებასთან ბრძოლაში. ბურუსი, ჯანღი, ნისლი უმეცრებისა აწ ინგილოთა გონებასაც ნელა-ნელა ჰშორდება და ეფინება ნათელი განათლებისა თქვენისთანა დიდებულთ მოღვაწეთა მეოხებით და მეცადინეობით.

მღვდელი ინგილო ჯანაშვილი.

24 ოქტომბერს, 1895 წ.

## კორესპონდენცია.

ქ. სიღნაღიდამ იწერებიან: წვიმების მოტანილი ზარალი საგრძნობლად დაეტყო ჩვენს სიღნაღსაც, თითქმის ყველა ხორაგეული გაგვიძვირეს ჩვენმა ვაჭრებმა და როგორც მათ ესიამოვნებათ, ისე ჰყიდიან. ნამეტნავად შაქარმა აიწია აქ. კარგა ხანია ჩვენს მხარესკენაც სწვიმს, მაგრამ ისე ღმერთმა დაგვიფაროს, როგორც ქართლისკენ უჩივიან. სიცივით-კი კარგად აცივდა, თოვლიც-კი გვეწვია ცოტაოდენი. შეშა და ფიჩხი საშინლად ძვირია. გამომცხვარ პურის და ფქვილის შემოტანამაც ძლიერ იკლო, რის გამოც საგრძნობლად გაძვირდა. ღვინის სიძვირეს ნუღარ გვკითხავთ, საშინლად ძვირია აქ ეხლა ღვინო. რომელიც შარშან იყიდებოდა თუნგი 6 შაურად, ახლა დიდი მადლობელი უნდა ვიყვნეთ, რომ მოგვყიდონ 4 აბაზად, 1 მ. კარგა ხანია გამოცხადებულია, რომ ჩვენს ბეჩავ სიღნაღსაც მიენიჭა თვითმართველობის უფლება, მაგრამ ჩვენი მოქალაქენი ისევ ტკბილს ძილში არიან და არაფერი მზადება, ან კრება ჯერ ფიქრადაც არ მოსვლიათ. სხვა ქალაქები, რომელთაც ჩვენს ქალაქთან ერთად მიენიჭათ თვით მართველობის უფლება, ყველგან მზადებაში არიან და თვით ქალაქის სამოურავო კაცებიც დასახელებული ჰყავთ. ჩვენში-კი ჯერ ყურსაც არავინ იბერტყავს.

სიღნაღს ერთათ ერთი სწორე, მაგრამ ვიწრო ქუჩა აქვს სადაც არის მოთავსებული ფოსტის სტანცია და ეხლა გადაიტანეს ამავე ქუჩაზე სასამართლოც. ეს ქუჩა შესანიშნავია იმით, რომ ზამთარ-ზაფხულ სულ ტალახის ტბები და მორევები სდგას, არა აქვს ორის მეტი ფარანი რის გამოც არა თუ ღამე, დღისითაც-კი შეუძლებელია სუფთათ გავლა.

ქართველი.

## დაზარალებულთა დახმარება.

დასავლეთ საქართველოდგან განუწყვეტლივ მოდის ცუდი ამბები. როგორც წყალ-დიდობის პირველ დღეებში, ისე ახლაც დაწვრილებითი და ოფიციალური ცნობები მხოლოდ რკინის გზას შეეხებიან, მცხოვრებთა დაზარალების შესახებ-კი მოკლეთ იტყობინებიან: დიდი ზარალიაო. ფოსტის გაგზავ-გამოგზავნა ისე გაჭირდა და დაიხლართა, რომ საკვირველი არ არის—თუ დღემდის ტფილისში ნამდვილი არა ვიცით-რა. მაგრამ მოსალოდნელია, რომ რამდენიმე დღის შემდეგ ყოველივე გვეცოდინება. ღმერთმაც ქნას: დღეისთანა გამოურკვეველს მდგომარეობას უთუოდ სჯობია ნამდვილი ამბის გაგება, რაც უნდა საშინელი იყოს იგი. ხოლო ის, რომ საზარელ ამბის გაგონება მოგველის, ეჭვს გარეშეა. ყრუდ ხმები მოდის: იმერეთი, სამეგრელო და გურია წყალშიაო; გაბრაზებულმა მდინარეებმა წალეკეს ხალხის ავლა-დიდებაო!..

ტფილისის ქართველი საზოგადოება ემზადება დახმარება აღმოუჩინოს დაზარალებულთ: დრამატიული საზოგადოება აპირებს წარმოდგენის გამართვას, ქალებს განზრახვა აქვთ სალამო გამართონ, ზოგიერთებს განუზრახავთ კონცერტი გამართონ და სხვა. ფრიად სანუგეშოა, რომ ქართველი საზოგადოება არ იგვიანებს და მხურვალედ ჰკიდებს საქმეს ხელს... მაგრამ არის ერთი გარემოება, რომელსაც უნდა დავუფიქრდეთ კარგათ. თუ გამართლდა ყველა ის ცუდი ამბავი, რომელიც დღემდის მოდის, თუ ზარალი იმის ნახევარიც არის, რასაც დღეს ამბობენ და სწერენ, მაშინ სულ სხვა რიგათ უნდა მოაწყოთ დახმარების საქმე. ერთის სალამოს, წარმოდგენის და კონცერტის გამართვა მაინცა და მაინც არაფრათ უშველის საქმეს. ამგვარს დიდს უბედურებას დიდი დახმარებაც სჭირია და მარტო ტფილისმა-კი არ უნდა იკისროს, არამედ მთელის საქართველოს საქმედ უნდა გარდიქცეს. ამ შემთხვევაში-კი საჭიროა უთუოდ ორგანიზაცია, საჭიროა დაწყობილი და სისტემატური მოღვაწეობა. მაშასადამე უნდა დაარსდეს „საზოგადოება“ ან კომიტეტი, რომელმაც იკისროს დახმარების საქმის გაძღოლა. ყოველგან და ყოველთვის ამგვარს შემთხვევაში ასე იქცევიან, რადგანაც დახმარება ნაყოფიერი იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც ერთი დაწესებულება აერთიანებს საზოგადოების ძალ-ღონესა და საშუალებას... ვინ უნდა იკისროს კომიტეტის დაარსება? ამის შესახებ ტფილისში აქა-იქ ლაპარაკობენ, რომ უმჯობესი იქნება—თავად-აზნაურობის დაწესებუ-

---

ლოდ იმას ამტკიცებს, რომ ვუყვარვარ. რომ არ ვუყვარდე, ამდენ ხანს ჩემს ცემას თავს გაანებებდა. საწყალი პიერი რა უბედურია!“

მუშაობის დროს როზალი ხანდისხან შესდგებოდა, ხელებით შუბლს მოიწმენდდა, მძიმეთ ამოიოხრებდა და ყურს მიაპყრობდა ხოლმე შემოდგომის ქარის გრიალს.

პიერი-კი მენახშირებთან და შეშის მჭრელებთან მუშაობდა, ცოლზე ფიქრობდა და რამდენათაც მეტს ფიქრობდა, იმდენად უფრო მისს გულში ეჭვი ღვივდებოდა. როზალის პიერის წინაშე თავის სილამაზე ვერას შველოდა და მის ღიმილს მოთმინებიდგან გამოყავდა პიერი, რომელსაც სუყველაფერი სჯეროდა, რასაც ამხანაგები ეუბნებოდნენ. გაჯავრებულ პიერი ამოხვრით იტყოდა:

— ბოლო უნდა მოეღოს ამეებს!.. ამის თავის მინებება არ შეიძლება!

— გამარჯობა, ამხანაგებო! მოისმა ხმა. ეს იყო ფონდინი, თმა-ხუჭუჭა და თვალებ-ბეცა პიემონტელი.

— ფონდინს გაუმარჯოს, საით მიდიხარ? დაეკითხნენ მუშები.

— ზევით, გაკაფულ ტყეში, იქ ბევრი სამუშევარია, მიუგო ფონდინმა.

პიერი ძირს ჩამოვიდა მასთან მოსალაპარაკებლათ და ცოტაზე კიდეც გააცილა. მოშორდნენ თუ არა ისინი სხვა მუშებს ჰკითხა პიერმა, ბ-ნი ანრი ზევით არის?

— არ ვიცი, მიუგო ფონდინმა და გაისწორა მხარზე გადებული ცული. შემდეგ პიერს შეაცქერდა თავისის ბეცი თვალებით და დაცინვით უთხრა:

— შენ, მგონი, ეჭვიანობ როგორც უწინ, არა?

თავისი ეჭვიანობა პიერმა ამ გზობით გულ-დამშვიდებით უარ-ჰყო. უეცრად თვალები ძირს დაუშვა და გადაჭრითა სთქვა:

— როზალი მღალატობს, მე ეს ვიცი. მინდა მხოლოდ, რომ სუყველაფერი თვითონ მიამბოს. თუ არ მია, მბო, უსათუოთ მოვკლავ.

შემდეგ ჩიბუხი გაიწყო.

— ცეცხლი მომეცი! უთხრა ფონდინსა და ისევ განაგრძო:

— შენ ხომ ჩემი მეგობარი ხარ... აბა გულ-ახდით მითხარ: რა ნახე? რა იცი?

— მე?—გადიხარხარა პიემონტელმა,—მე არაფერიც არ ვიცი, არც არაფერი მინახავს, მაგრამ სუყველანი-კი ამას ამბობენ-და....

— აბა, რას ამბობენ!

— იმას ამბობენ, რომ როზალი ანრის საყვარელიაო.

პიერმა ჩიბუხი მოსწია და სამჯერ გააბოლა. დარწმუნებითი ღიმილმა ტუჩები აუკანკალა სწორეთ იმ დროს, როცა პიემონტელმა უკანასკნელად უთხრა:

— სიმართლე მოგახსენო, როზალი ძალიან ლამაზია და მისი სამუშაოდ სიარული საფრთხილოა.

ამ მუსაიფის შემდეგ ეჭვიანი პიერი მთლად გამხეცდა. მკვლელობა განიზრახა: გულში ის სრულიად დანებდა სულელურ ფანტაზიას, იგი საშინლათ შეიპყრო ცოლის მოკვლის სურვილმა. საწყალს ქალს მასთან ლაპარაკის დროს პირის სახე უსათუოდ ხელებით უნდა დაეფარა, რომ ცემა-ტყეპა აეცდინა. ყოველ წუთს მას მრისხანეთ მივარდებოდა პიერი და ეკითხებოდა:

— რად მიდიხარ! რაზე ფიქრობ! საიდგან მოხვედი? ვისთან იყავი?

ერთხელ დილით როზალი გამოვიდა კარავიდგან გასისხლიანებულ პირის სახით, მივიდა წყაროზე და პირის ბანა დაიწყო. იგი ამ დროს სუყველამ დაინახა; ქალმა ძალ-დატანებით გაიცინა და სთქვა:

— ეგ არაფერი... მე თვითონ გავიფხაჰნე...

ქმრის ცუდ ქცევას ერთხელაც არ გამოუწვევია როზალის მხრით საყვედური. იგი ძირს დაუშვებდა ხოლმე ნიკაპს, უხმოდ ქვითინს მოჰყვებოდა და როცა ტირილით გულს დაიმშვიდებდა ჩურჩულით ეტყოდა მას:

— პიერ, ტყუილათ მეპყრობი ასე ცუდათ. შენ თვითონ კარგად იცი, რომ მე პატიოსანი ქალი ვარ და ამისათვის ჩემთან სასაყვედურო არა გაქვს-რა.

ამხანაგებმა დაინახეს, რომ ცოლ-ქმარს შორის ცუდად მიდიოდა საქმე, ამისათვის თავის მოვალეობათ ჩათვალეს იმათ საქმეში ჩარეოდნენ.

—პიერ, ჰკვიანათ იყავ, „ეს სულ ტყუილია, ეუბნებოდნენ მას. ამ დროს პიერი მათ გაშორდებოდა ხოლმე და თავის გაქნევით წაილაპარაკებდა:

— მე რაც ვიცი—ვიცი.

ერთხელ პიერი დილით საუზმის საჭმელად მიდიოდა შინისკენ. მიუახლოვდა თუ არა გაკაფულ ტყეს, შორიდგან დაინახა როზალის წითელი იუბკა. ქალს ვიღაც კაცი მოჰყვებოდა, რომელსაც თავს ეხურა ჰილოფის ქუდი. ეს იყო ანრი. სანახავათ შეყრილან! სთქვა პიერმა და ბუჩქის უკან მიწას გაენართხა. თუმცა ძალიან განრისხებული იყო იგი, მაგრამ კრინტიც არ დაუძრავს.

ბ-ნი ანრი მოულოდნელად შეხვდა ახალგაზდა ქალს და გამოაცილა; უთხრა რომ თვით იგი მოელაპარაკება პიერს და დაამშვიდებს, მაგრამ ლი ამ აზრზედ არ დასთანხმდა. იმათ სხვა სალაპარაკო არა დარჩენოდათ რა და ამისათვის ყმაწვილ კაცს თავის განებება უნდოდა როზალისთვის. სწორეთ იმ დროს, როცა ისინი გაჩუმებულნი მიდიოდნენ პიერს წინ გაუარეს, რომლისთვისაც ეს ცხადი ნიშანი იყო იმათი კავშირისა.

მაგრამ ყველაზედ უფრო ამ დროს პიერი გააჯავრა როზალის ღიმილმა, თითქოს ღიმილი ამ ქალის სახის ჩვეულებრივი გამომეტყველება არ ყოფილიყოს. როცა ისინი გაშორდნენ, პიერი გამოუდგა მათ დანით—ანრის მოსაკლავათ. მოვკლა იგი? რისთვის უნდა მოვკლა? ჩაილაპარაკა თავისთვის პიერმა.

იმის აზრით, მარტო როზალი იყო ყველაფერში დამნაშავე.

დოინჯ-შემოყრილი პიერი გულგრილად გამობრუნდა უკან საუზმის საჭმელად. იგი თავის-თავს ელაპარაკებოდა:

— მოვკლავ როზალის და გადავრჩები. უნდა მოვკლა უსათუოდ. მაშინ დავმშვიდდები. მის გულში საშინლად გაიღვიძა შურის-ძიებამ, გაიღვიძა მძულვარებამ, რომელიც მაშინვე უნდა დაეკმაყოფილებინა მას და რომლისგანაც, როგორც მძიმე ტვირთისაგან, უნდოდა განთავისუფლებული-ყო...

(დასასრული იქნება).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებამ ტფილისისამ ან ქუთაისისამ ხელთ იღოს ეს საქმეო. რადგანაც ჩვენში არც ერობა არის, არც სხვა მზგავსი დაწესებულება, ჩვენც გვგონია, რომ თავად-აზნაურობას უფრო შეშვენის და მოეხერხება წინ გაგვიძღვეს ამ საქმეშიაც. ან და საჭიროა რომელიმე საპატიო პირმა მთავრობის ნება-რთვა აიღოს ტფილისში გამგე კომიტეტის დაარსებისათვის. შემდეგ, ჩვენ დარწმუნეეული ვართ, ახალგაზდობა მხურვალეთ შეუდგება საქმეს და ცენტრალურ კომიტეტის გარდა, დასავლეთ საქართველოში დაარსდება ადგილობრივი კომიტეტები. მხოლოდ ამგვარი სისტემატური და საფუძვლიანი დახმარება იქნება ნამდვილი და ნაყოფიერი და ამიტომ ჩვენ სრულის თანაგრძნობით ვეთანხმებით საზოგადოების იმ ნაწილს, რომელსაც საჭიროდ მიაჩნია დახმარების ორგანიზაცია.

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

ამოკრებილი ამბები.

— ეხლახან გამოუცხადებიათ საფრანგეთში სტატისტიკა ასწლოვან მოხუცებულებისა. დღეს თურმე საფრანგეთში სულ 213 ას-წლოვანი მოხუცია, ამათგან 66 მამაკაცია და 147 დედაკაცი. ერთს ადგილას საფრანგეთში ეხლახან უდღესასწაულნია ოქროს ქორწინება ექვს წყვილს ტოლ-ქმარს, რომელთაც ყველას ერთად 921 წელიწადი გამოსვლიათ- იმათი შვილი და შვილის-შვილები სულ 450 სულია თურმე. (რუს. ვედ.)

— ამ მოკლე ხანში საოცარ ქურდობა ომხდარა ხარკოვში. ერთი ვიღაცა მიჰპარვია ფოშტის ყუთს, რომელიც უნივერსიტეტის ბაღის ჭისკარზედ კიდებულა და მოუპარავს. ამბობენ, ქურდი დიდხანს თურმე წინა და უკან დადიოდა და როცა სხვამ ვიღაცამ ყუთში წიგნი ჩააგდო, მივიდა, ახსნა ყუთი და გაიპარაო. (რუს. ვედ.)

— გამოუკვლევიათ მცოდნე და მსწავლულ კაცთა: რამდენს ჰმატულობს წონაში სხვა-და-სხვა წლის ბავშვი. შვიდიდამ ათს წლამდე ბავშვი-ქალი წელიწადში ჰმატულობს თურმე ერთ კილოდამ კილო-ნახევრამდე („კილო“ წონაა და უდრის თითქმის $2^1/_2$ გირვანქას), თერთმეტიდამ ცამეტ წლამდე— ორს კილოს. ვაჟი-ბავშვი ექვსის წლიდგან ყოველ წლით ჰმატულობს $2^1/_4$ კილოს, ცხრიდამ თორმეტამდე ყოველ წლივვე $2^1/_2$ კილოს. ბავშვის ზრდაზე და წონაზე დიდი ზედ-მოქმედება აქვს თურმე სხვა-და-სხვა დროს წლისას. არამედ ყოველ დღიურ სითბო-სიცივის ცვლილებას, ამინდს, წვიმას და გოლვას. ორთა შუა ყოველ დღიური მეტ-ნაკლებობა წონისა ვაჟ-ბავშვისათვის არის თურმე 47 მისხლამდე და ბავშვ-ქალისათვის 24. როცა კარგი და მოწმენდილი დღეა წონა ჰმატულობს თურმე, როცა ცივა ნესტიანი დღეა კლებულობს. ბავშვის ზრდა გაზაფხულის და ზაფხულის დღეებში უფრო ძლიერია და მალი, შემოდგომით და ზამთრობით-კი ყველაზე მეტად ბრკოლდება. წონა ბავშვისა თან-და-თან მატულობრ ზაფხულის განმავალობაში და აგვისტოში უმაღლესს წერტილამდე ადის. მას მერმედ წონის მატება კლებაში შედის მთელს შემოდგომის და ზამთრის დროს და თებერვალში სრულიად ბავშვი წონაში აღარას ჰმატულობს, მარტში-კი არამც თუ ემატება რამ, ბავშვი წინანდელზე უფრო ნაკლების წონისაა თურმე. (ნოვ. ვრ.)

— ამერიკაში გამოუცხადებიათ სტატისტიკა იმისი თუ—რამოდენა ქალი იღვწის სხვა-და-სხვა მოღვაწეობის ასპარეზზე. 1880 წ. 17,392,099 მუშათა შორის ყოფილა 14,744,942 მამაკაცი და 2,647,157 დედაკაცი. 1890 წ.-კი 22,735.661 მუშათა შორის 18,820,950 მამაკაცია და 3,914,711 დედაკაცი. ასე, რომ მუშა მამაკაცს ასში 27 მომატებია და დედაკაცს—ასში 47. ამ რამდენისამე წლის წინად სულ ითვლებოდა 350 ქალი ჟურნალისტი, ეხლა 888 არიან. ამ 30-ს წლის წინად ამერიკელებმა არც-კი იცოდნენ რა არის ქალი-ქიმიკოსი, ანუ ინჟენერი, ეხლა 46 ქალი-ქიმიკოსი ჰყავთ, ამოდენივე ინჟენერი და 120-ზე მეტი მათემათიკოსი. (ნოვ. ვრ.)

— სადგურის გადასახადი (квартирный налогъ) უკვე განზრახულია მთავრობის მიერ და ამისათვის საჭიროა ქალაქები და დაბები ხარისხ-ხარისხად აღნიშნულ იყვეს, რომ ხსენებული გარდასახადი ქალაქების და დაბების შეძლებისა გვარად დანიშნულ იქმნას. ამისათვის მიწვეულია საიმკვირიოდ პეტებურგში კომისია, რომ სიები შეადგინოსო. ამ კომისიაში თავ-მჯდომარედ დანიშნულია ფინანსთა სამინისტროს დეპარტამენტის დირექტორი ი. დ. სლობოდჩიკოვი (მ. ვ.).

— ფინანსთა სამინისტროს საბჭოს წევრს ბ-ნს რიხტერს მინდობილი აქვს კამისია- რომელმაც უნდა განიხილოს და ახალი წესი და რიგი გამოიკვლიოს სახელმწიფო ხარჯებისა და გადასახადებისათვის. ეხლა ამბობენ, რომ ყოველ ამისათვის პროექტი მომავალ წლის დაწყებამდე დასრულდება და იმავ წლის შემოდგომაზედ წარედგინება სახელმწიფო საბჭოსაო. (მ. ვ.).

— მოსკოვის გაზეთი იუწყება, რომ სდწათ-მოქმედების და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროში მზადდება პროექტი იმ წესისა და რიგისა, რომელიც უნდა დაიდვას შესახებ ნედლის მცენარის შემოტანისა რუსეთში. ამ წესსა და რიგს საგნად უნდა ჰქონდეს უშიშარ ჰყოს ვენახისა და ბაღების პატრონი ფილოქსერისა და სხვა სნეულების შემოტანისაგანაო. სხვათა შორის შემდეგია დანიშნული წესად შემოღებისათვის: 1) დასახელებულია ადგილები, საიდამაც ნება აქვთ ნედლი მცენარე ეზიდონ და აგრეთვე საბაჟოები, საცა უნდა გამოატარონ. შავს ზღვაზედ დანიშნულია მცენარეთა საჩხრეკად და შესამოწმებლად ოდესა და ბათომი. 2) ნედლის მცენარის შემომტანს მოწმობა უნდა ჰქონდეს ადგილის მოხელეთაგან, ფილოქსერის საქმის გამგეთაგან, რომ მცენარეთა შორის ვაზი და ვაზის რქა არ არის; რომ პატრონსა, ანუ სავაჭრო სახლს, რომელიც მცენარესა ჰგზავნის, არ უდგას არც გარედ მიწაში, არც არანჟერეიაში ვაზი; რომ ახლო-მახლო არსად ფილოქსერა არ არის; რომ იმ ადგილს, საიდამაც წამოღებულია მცენარე, ვაზი და მისი რქა არ ინახება.

1 ნოემბერს მომხდარს სახელმწიფო საადგილ მამულო ბანკის **მეათე ტირაჟში** 500 მანეთიანი მოგებანი ხვდა შემდეგ ფურცლებს:

1. 6425, 7911 9724, 9811.
2: 880, 2123, 6275, 6317, 6522. 6959, 8778, 13120, 13371 14657.
3: 6829, 8567, 9557, 11663, 12689.
4: 2359, 2953, 4588 4800, 7758, 10116, 12334, 14617.
5: 4028, 6204, 6717, 8454, 13412
6: 2620, 2811.
7: 756, 1885, 3074, 4290, 4444 9737.
8: 70, 7522, 12291, 15185,
9: 1668, 5840, 9382, 9638, 10308 12529, 13563, 13176.
10: 368, 4610, 8257, 13297, 15263.
11: 4271, 5188, 5367, 11409, 13581.
12: 11064, 12421, 12487.
13: 2773, 3125, 9352, 11154, 11185, 14374.
14: 431, 822, 1725, 2933, 7921 8163, 11312, 15070.
15: 3015, 7005, 7298, 7461, 15849.
16: 231 725, 1662, 6283, 7249, 9784, 13336.
17: 820, 2381, 3326, 4336, 4634, 7152, 9596, 14392, 15018.
18: 3580, 7021, 11068, 13951.
19: 1702, 3271, 4593, 7185, 9614, 9806, 13199.
20: 1774, 4711, 5168, 6865, 8929, 9865, 11782, 14096.
21: 499, 15105.
22: 1514, 2498, 4849, 7264, 7489, 12117, 14035, 14820,
23: 117, 4288, 6000, 10754, 12951, 13024.
24: 569, 2407, 3821.
25: 2644, 2853, 3693, 5039, 5830, 5974.
26: 502, 7810, 9686, 11073, 11887, 12749, 15517.
27: 6318, 8103, 12814.
28: 4496, 5324, 6495, 6671, 7982, 10316, 12513, 15624.
29: 777. 11620, 12013.
30: 1519, 2433.
31: 2190, 4981, 5772, 6857, 8908, 9035, 10406, 11805.
32: 13016.
33: 5645.
34: 2462, 11862.
35: 6403, 10831.
36: 1262, 2068, 2440, 2888, 9065, 12749.
37: 7511, 9165.
38: 512, 1291, 1942, 2306, 9252, 10132, 11691, 12741.
39: 6782, 8118, 8800, 14938, 15882.
40: 2928, 8855, 10498, 12647, 15562.
41: 9960.
42: 3774, 9909.
43: 1446, 6981, 9509, 11999, 12603, 12754, 13131.
44: 3177, 3384, 5764, 10666, 11153.
45: 1509, 3393, 4947, 9502.
46: 804, 2306, 5184, 9234, 12799, 15307.
47: 1415, 5813, 6133, 8780, 10099, 10658, 13157, 13823, 15467, 15977.
48: 3285, 6566, 10099, 10117, 12897, 13624, 14260.
49: 2971, 3374, 5365, 5634, 6252, 7385, 12808.
50: 2273, 4060, 15522.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

8 ნოემბერი.

**პეტერბურგი.** 7 ნოებრის ბიულეტენი: იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასული და ახლად დაბადებული მთელი ღამე კარგად იყვნენ.

უმაღლესი რესკრიპტი მოსკოვის გენერალ-გუბერნატორის სახელზედ: „თქვენო იმპერატორებითი უმაღლესობავ! გაუწყებთ-რა, რომ ჩემი უსაყვარლესი მეუღლე ხელმწიფა იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასული ძეობიდგან განთავისუფლდა და ესვა ასული დიდი მთავრინა ოლღა, გაახლებთ თქვენ ამ შემთხვევის გამო გამოცხადებულის მანიფესტის პირს მოსკოვის მცხოვრებთათვის გამოსაცხადებლათ; სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ მოსკოვი გულწრფელად მიიღებს მონაწილეობას ამ ჩემთვის სასიხარულო ამბავში. ნიკოლოზ“.

**მოსკოვი.** მოსკოვის ქალაქის საბჭომ, მოისმინა-რა უმაღლესი რესკრიპტი დიდის მთავრინას ოლღა ნიკოლოზის ასულის დაბადების შესახებ, დაადგინა: დააარსოს ხუთი საქალაქო სასწავლებელი სახელწოდებით „ახლად დაბადებულის სახსოვრად“; აპატიოს 15 ათასი მანათი იმ ღარიბ მცხოვრებთ, რომელნიც ქალაქის საავადმყოფოებში წამლობენ.

**ოდესა.** დიდის მთავრინას ოლღა ნიკოლოზის ასულის დაბადების გამო საბჭომ გადასდვა 5000 მანათი შრომის მოყვარეთა სახლების ასაგებათ; აგრეთვე დაადგინა—ოდესაში საექიმო ფაკულტეტის დაარსებისათვის ნახევარ მილიონ მანათამდე გარდიდვას.

**ვენა.** აღმოსავლეთში ყველა სახელიწიფოთა შეთანხმებით მოქმედების გამო „ნეი ფრეი პრესს“ ამბობს: „რუსეთმა განაცხადა, რომ არ შეუძლია მიიღოს გოლუხოვსკის წინადადება; მაგრამ ამით საქმე გაფუჭებულად არ უნდა ჩაითვალოს; თუ აღმოსავლეთის საქმეები კიდევ უფრო ცუდათ წავიდა, რაც ჯერ-ჯერობით მოსალოდნელი არ არის, სითამამე არ იქნება ვიმედოვნოთ, რომ მაშინ გერმანიაც გამოსთქვამს თავისს აზრს“. ამ სიტყვების გამო ოფიციალური „ფრემდენბლატ“ ამბობს: „რუსეთი დიდს მნიშვნელობას აძლევს სახელმწიფოთა შეთანხმებითს მოქმედებას. პრინციპიალურად იგი თანახმაა კონსტანტინოპოლში სტანციონერების გაძლიერებისა და ყველაზედ წინად განკარგულება მოახდინა და მეორე სამხედრო გემი გაგზავნა იქ. ამ რიგათ რუსეთი იმავე პოლიტიკას ადგია ამ საქმეში, რომელსაც დანარჩენი სახელმწიფონი. სომხეთში უწესოებათა მოსპობა არც ერთს სახელმწიფოს არ მოუთხოვია ისე ენერგიულად, როგორც რუსეთს. ამ შემთხვევაში რუსეთის მთავრობამ მხარი დაუჭირა და მიეკედლა ავსტრი-უნგრეთის წინადადებათ. რუსეთი და ავსტრია ვერ შეთანხმდნენ მხოლოდ იმ საშუალებათა შესახებ, რომლით წინადადებანი უნდა განხორციელდნენ“.


# განცხადებანი

ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისაგან.

ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის მმართველობა, ბანკის 1881 წლის 17 თებერვლის წესდების მე-15 §-ის თანახმად, ამით აცხადებს, რომ 9, 11 და 14 დეკემბერს ამა 1895 წლისას, დღისით 12 საათზე ქ. ტფილისში, ბანკის სადგომში, ფრეილინის ქუჩაზედ, საჯარო ვაჭრობით გაისყიდება, ვაჭრობის განუმეორებლად, უძრავი ქონებანი ქვემოხსენებულთა, ბანკის წესდებით დადგენილი გარდასახდელების შემოუტანლობისთვის, მე-13, 14, 15, 17, 18 და 19 §§ მებრ.

ვაჭრობა, ბანკის წესდების მე-18 §-ის თანახმად, ზემოხსენებულ ვალის ჯამიდგან დაიწყება და მასვე მიემატება საერობო და სხვა გარდასახდელი ხარჯი. თავნი ვალი გრძელ-ვადიანი სესხისა შეიძლება შემოიტანონ ამა ბანკის გირავნობის ფურცლებით, რომელიც მიღებულ იქმნება თავისს დარქმეულ ფასისამებრ მანეთი მანეთად და აგრეთვე ბანკის თანხმობით ვალი მყიდველზედ იქმნას გადატანილი; სავალო შემოსატინისა და სხვა გარდასახადისათვის-კი ნაღდი ფული უნდა იქმნას შემოტანილი.

ვინიცობაა ამ წლის 9, 11 და 14 დეკემბერს დანიშნული ვაჭრობა არ შესდგა, ბანკის წესდების მე 21 §-ს საფუძველისამებრ, მეორე და უკანასკნელი ვაჭრობა იქმნება 28 დეკემბერს ამავე წლისას. ბანკის წესდების მე 16 §-ის თანახმად გრძელ ვადიანის ვალის მსესხებელს ნება ეძლევა შემოსატანი, სარგებლით ვადაზე შემოუტანლობისათვის, და აგრეთვე ყოველივე ხარჯი მამულის სავაჭროდ დანიშნ ისათვის ვაჭრობის დღემდე შემოიტანოს.

ტფილისის მამულების ვაჭრობა მოხდება 9 დეკემბრეს, სხვა ქალაქების მამულებისა 11-ს, სოფლის მამულებისა-კი 14 დეკემბერს.

ძველი კატეგორიისა.

ა) ქალაქის მამულები:

ბეთანოვი სტეფანე ივანეს ძე. ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და ერთ სართულიანი ქვითკირის სახლი ყოველგვარ მოწყობილობითი მიწით და ეზოთი, ზომით სიგრძით 28 და სიგანით 13 საჟენი, ქ. ახალციხეს. თავნი ვალი 1824 მ. 87 კ. შემოსატანი გარდასახადი 297 მ. 59 კ. და სულ 2122 მ. 46 კ.

ტერ-სააკოვი ტერ-ელიშე ტერსაკის ძე. ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი, ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქანი და ბაღი მიწა ზომით 1 დესეტინა, 638 ოთხ-კუთხი საჟენი, ანუ რამდენიც აღმოჩნდება ქ. გორში. თავნი ვალი 549 მ. 90 კ. შემოსატანი გარდასახადი 46 მ. 28 კ. და სულ 596 მ. 18 კ.

ტერ-შმოვანოვი ნიკოლოზ ივანეს-ძე. ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფით, ფლიგელით და ყოველ გვარ მოწყობილებით, მიწა ზომით 86 ოთხ-კუთხი საჟენი, ანუ რამდენიც აღმოჩნდება, მე-6 ნაწილში, 1 განყოფილებაში, ქ. ტფილისს მოღნინის და ბებუთოვის ქუჩაზედ № 21. თავნი ვალი 4918 მ. 84 კ. შემოსატანი გარდასახადი 424 მ. 79 კ. და სულ 5343 მ. 63 კ.

ჩოლოყაშვილი ნიკოლოზ ზაალის ძე და ჯანდიერი ლევან გიორგის ძე. ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი ფლიგელითა და მიწა-ზომით 800 ოთხ-კუთხი საჟენი, ქ. თელავს. თავნი ვალი 727 მ. 50 კ. შემოსატანი გარდასახადი 136 მ. 75 კ. და სულ 864 მ. 25 კ.

ბ) სოფლის მამულები.

ჭიჭინაძე სოფია როსტომის ასული. სახნავ-სათესი, საძოვარი, სათიბი ადგილები და ტყე, ზომით 291 დესეტინა, 840 ოთხ-კუთხი სა-